

ს დ ა ს უ

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი



## სარჩევი

სამართლის სკოლა .....	3
სამართლის სამაგისტრო პროგრამა .....	3
ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლა .....	13
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა .....	13
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა .....	19
ჟურნალისტიკის სამაგისტრო პროგრამა .....	19
საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა.....	27

# სამართლის სკოლა

## სამართლის სამაგისტრო პროგრამა

### MA Program of Law

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა (II საფეხური)

ფართო სფერო: 04 ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართალი Business, Administration and Law

ვიწრო სფერო: 042 სამართალი, Law

დეტალური სფერო: 0421 სამართალი, Law

სწავლების ენა: ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის მაგისტრი (Master of Laws)

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა: 120 ECTS კრედიტი

**სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობები:** სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2 დონე) შედეგების საფუძველზე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. ინგლისური ენის გამოცდისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონის კომპეტენციის დამადასტურებელ შესაბამის სერტიფიკატს

პროგრამის ხელმძღვანელი: პროფესორი გიორგი გოგიაშვილი

## სამაგისტრო პროგრამის მიზანი

სამართლის სამაგისტრო პროგრამის მიზანია, მოამზადოს ბაკალავრის შემდგომი დონის, კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც შეძლებს როგორც ეროვნულ ისე მულტიკულტურულ დონეზე წარმატებულ პროფესიულ მოღვაწეობას; მაგისტრანტს შესძინოს კერძო, საჯარო ან სისხლის სამართლის მიმართულებით ღრმა და სისტემური ცოდნა, უპირატესად, შედარებითსამართლებრივი და/ან ემპირიული მეთოდოლოგიის გამოყენებით; გამოუმუშავოს/სრულყოს ცვალებად, არაპროგნოზირებად გარემოში პრაქტიკული საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი პროფესიული უნარ-ჩვევები; აღჭურვოს იგი დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევისათვისათვის საჭირო ცოდნით, უნარებით და პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით სამართლის სფეროს განვითარებაში საკუთარი წვლილის შესატანად.

### პროგრამის სწავლის შედეგები

(ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა)

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p><i>სამართლის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი სიღრმისეულად აღწერს:</i></p> <ol style="list-style-type: none"><li>1. კერძო, სისხლის და/ან საჯარო მიმართულებით, ქართული და მისი უცხოური სამართლის ანალოგ(ებ)ის (კონტინენტურ-ევროპული, საერთო სამართლის და/ან სხვა რელევანტური სამართლებრივი სისტემის) მიღწევებსა და თავისებურებებს, რაც სამართლის აქტუალური, კომპლექსური პრობლემების გააზრებისა და მათი გადაწყვეტისათვის ახლებური ხედვის ჩამოყალიბების მიზანს ემსახურება; შედარებითი სამართლმცოდნეობის მეთოდოლოგიას და მის თავისებურებებს;</li><li>2. ევროპული სამართლებრივი სივრცის, კერძოდ, ევროპული კავშირის ჰარმონიზებული, უნიფიცირებული და/ან „რბილი“ სამართლის ისევე, როგორც პრეცედენტული სამართლის თანამედროვე ტენდენციებს;</li><li>3. საჯარო და სამოსამართლეო ეთიკის საერთაშორისოდ აღიარებულ პრინციპებს, მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებებს და მათ ვარიაციას ქართულ სამართალში;</li><li>4. უპირატესად, არჩეული კონცენტრაციის ფარგლებსა და</li></ol>
--------------------------------------	---



	<p>შედარებითსამართლებრივ კონტექსტში აღწერს მართლმსაჯულების განხორციელების ეროვნულ და საერთაშორისო მოდელებს და მათი ფუნქციონირების თავისებურებებს, გამოყენების პრაქტიკას, მათ ეფექტს, ზოგადად, სამართლის განვითარებაზე.</p>
<p>უნარი</p>	<p><b>სამართლის სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტი:</b></p> <p>5. ინდენტიფიცირებას უკეთებს ეროვნული სამართლის აქტუალურ პრობლემებსა და ნორმატიულ ხარვეზებს, იძიებს სამართლებრივ მონაცემებს და მომიჯნავე სამეცნიერო ან სხვა ემპირიულ მასალას, ახორციელებს მათ კომპლექსურ ანალიზს, კვალიფიკაციისა და სამართლის ნორმების პროფესიულ დონეზე ინტერპრეტაციისა და სამეცნიერო, უპირატესად შედარებითსამართლებრივი მეთოდოლოგიის, დოქტრინისა და პრეცედენტების კვლევით, გამოაქვს ადეკვატური, დასაბუთებული დასკვნები, აზრის გადმოცემის თანამედროვე აკადემიური სტანდარტების დაცვით; იცავს მიღწეულ შედეგებს როგორც პრაქტიკული არასტანდარტული და კომპლექსური პრობლემის მოგვარებისათვის წარმართულ პროცესში, ისე სამეცნიერო კვლევის მიღწევათა დემონსტრირებისას.</p> <p>6. პროფესიული ეთიკის დაცვით ახორციელებს იურიდიული მნიშვნელობის მოქმედებებს სტრატეგიულად და ტაქტიკურად წინასწარგათვლილი და გაზრებული გზით, რისთვისაც, ყველა რელევანტური ინტერესის მხედველობაში მიღებით, ამყარებს კომუნიკაციას (ზეპირად და წერილობით ქართულ და ინგლისურ ენებზე) პროფესიულ საზოგადოებასთან, დაინტერესებულ მხარეებთან თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით.</p>
<p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</p>	<p>7. განხორციელებული სამეცნიერო კვლევის მეშვეობით, ზეგავლენას ახდენს სამეცნიერო აზრის განვითარებასა და პრაქტიკის ტენდენციებზე, ასევე სამართლის ღირებულებათა სისტემისა და პროფესიული ეთიკის პრინციპების გააზრებასა და გადაფასების პროცესზე; მათ შორის, სამოსამართლო ეთიკისა და მოსამართლის ღირებულებით ასპექტებსა, დემოკრატიის პირობებში ბალანსირებისა და პროპორციულობის დაცვასა და სამართლებრივი სახელმწიფოს კონცეფციის სხვა ნიშნებზე;</p> <p>8. ავლენს ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობით, თანამედროვე ტექნოლოგიების, მათ შორის მონაცემთა ბაზებისა და რელევანტური სამეცნიერო თუ სხვა წყაროების გამოყენებით,</p>

ინდივიდუალური და საერთო გუნდური გადაწყვეტილებების მისაღწევად საკუთარი და სხვისი პროფესიული განვითარების პოტენციალს.
---

### საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ECTS კრედიტების საფუძველზე, ორიენტირებულია სტუდენტზე და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა პროგრამით დასახული მიზნების მისაღწევად. პროგრამის ხანგრძლივობა 2 აკადემიური წელი ანუ 4 სემესტრია და მოიცავს 120 კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი; პროგრამის 120 კრედიტი= 3000 სთ). ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 კრედიტს. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმიდან გამომდინარე, სასწავლო წლიური დატვირთვა შესაძლებელია იყოს 60 კრედიტზე ნაკლები, ან აღემატებოდეს 60 კრედიტს, მაგრამ არა უმეტეს წელიწადში 75 კრედიტისა.

პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი და სხვ. შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება- ჩაბარება), იურიდიულ პრაქტიკას და სამაგისტრო ნაშრომს (მომზადება და დაცვა).

### პროგრამის სტრუქტურა

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს: სასწავლო კომპონენტს და კვლევით კომპონენტს. სასწავლო კომპონენტი (90 კრედიტი) აერთიანებს: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებს (48 კრედიტი), პრაქტიკულ კომპონენტს (იურიდიულ პრაქტიკას, 18 კრედიტი) და ძირითადი სწავლის სფეროს არჩევით სასწავლო კურსებს (150 კრედიტი, სტუდენტი ირჩევს 24 კრედიტს). არჩევითი სასწავლო კურსები (150 კრედიტი) მოიცავს: კერძო სამართლის მოდულის არჩევით სასწავლო კურსებს (54 კრედიტი), სისხლის სამართლის მოდულის არჩევით სასწავლო კურსებს (54 კრედიტი) და საჯარო სამართლის მოდულის არჩევით სასწავლო კურსებს (42 კრედიტი). სტუდენტი უფლებამოსილია, არჩევითი სასწავლო კომპონენტის (24 კრედიტი) ფარგლებში, აირჩიოს მისთვის სასურველი სასწავლო კურს(ებ)ი უნივერსიტეტის სხვა სამაგისტრო პროგრამებიდან და მოიპოვოს არა უმეტეს 6 კრედიტისა. დარჩენილი 18 კრედიტი კი მაგისტრანტმა უნდა დააგროვოს კერძო სამართლის, საჯარო სამართლის ან სისხლის სამართლის მიმართულებით შეთავაზებული მოდულებიდან.



სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკულ კომპონენტს (18 კრედიტი) - იურიდიულ პრაქტიკას სტუდენტი გადის უნივერსიტეტის პარტნიორ დაწესებულებებში. სპეციალობით დასაქმებულმა სტუდენტმა (იმ შემთხვევაში, თუკი მისი საქმიანობა ემთხვევა შერჩეული სამართლის მიმართულებას) პრაქტიკის ნაცვლად 18 კრედიტი უნდა დააგროვოს კერძო სამართლის მოდულის, საჯარო სამართლის მოდულის ან სისხლის სამართლის მოდულის არჩევითი სასწავლო კურსების ხარჯზე.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო - კვლევით კომპონენტში მოიაზრება სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა (30 კრედიტი). სტუდენტი ვალდებულია სამაგისტრო ნაშრომი შეარჩიოს მისთვის სასურველი მიმართულების ფარგლებში, რისთვისაც მას კერძო სამართლის, საჯარო სამართლის ან სისხლის სამართლის მიმართულებით ათვისებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ 18 კრედიტი.

**კერძო სამართლის მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტი:**

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ სტუდენტი აღწერს ძირითადი სამართლებრივი ოჯახების თავისებურებებს, კერძო სამართლის ადგილსა და სისტემას ამ სამართლებრივ ოჯახებში, სისტემური ცნების თავისებურებების თავისებურებებსა და მოწესრიგების ნაირსახეობებს, ევროპული ჰარმონიზებული/ უნიფიცირებული სამართლისა და „რბილი“ სამართლის თავისებურებებს</li> <li>▪ შედარებითსამართლებრივი მეთოდის არსს, გამოყენების თავისებურებებსა და კვლევაში არსებულ შესაძლო წინააღმდეგობებს;</li> <li>▪ შერჩეულ კონცენტრაციაში მოცემულ სასწავლო კურსებში არსებულ ეროვნულ პრობლემებს და შესადარებელი უცხოური ალანლოგის მიხედვით მათი გადაწყვეტის გზებს.</li> </ul>
<p><b>უნარი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ იდენტიფიცირებას უკეთებს შერჩეული კონცენტრაციის სასწავლო კურსებში ნორმატიული მოწესრიგებისა და/ან სამართალშეფარდების პრაქტიკულ პრობლემებს, სამოსამართლო სამართლის წინააღმდეგობრივ სეგმენტებს;</li> <li>▪ განსაზღვრავს პრობლემათა მოგვარებისთვის შესაფერის უცხოურ ანალოგს („რბილი“ სამართლის ჩათვლით), თანამედროვე საშუალებების გამოყენებით, ამყარებს თანამშრომლობით კომუნიკაციას აკადემიურ და სხვა დაინტერესებულ წრეებთან, ადარებს მას ეროვნულ ნორმატივებს, ითვალისწინებს დოქტრინისა და პრეცედენტული სამართლის თავისებურებებს და გამოაქვს</li> </ul>

	<p>ცვლილებისა თუ გაუმჯობესებისაკენ მიმართული გააზრებული დასკვნები;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ არჩეული კონცენტრაციის ფარგლებში, აკადემიური სტანდარტების დაცვით წერს ანალიტიკურ ნაშრომს, წარმოადგენს მის შედეგებს დაინტერესებული აუდიტორიის წინაშე საჯაროდ და იცავს მას.</li> </ul>
<p><b>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ავლენს კერძო სამართლის მიმართულებით ცოდნის მუდმივ რეჟიმში, კვლევის მეშვეობით, განახლების სურვილსა და უნარს, ხოლო მიღწეული რეზულტატის მეშვეობით ზემოქმედებს სამართლის განვითარებასა თუ სამართალშეფარდების პრაქტიკაზე;</li> <li>▪ დემონსტრირებას უკეთებს პროფესიული ეთიკისა და ღირებულებითი კატეგორიების სიღრმისეულ აღქმას, კვლევის ფარგლებში, ახორციელებს მათ გადაფასებას და ავლენს ახალი ღირებულებების შემუშავების უნარს.</li> </ul>

**საჯარო სამართლის მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტი:**

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ აღწერს თანამედროვე კონსტიტუციონალიზმის პრობლემებსა და სადისკუსიო საკითხებს, გლობალური კონსტიტუციონალიზმის საერთო წესებსა და თანამედროვე პრაქტიკას, სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპის დამკვიდრებისკენ მიმართულ ეროვნული კანონმდებლობის განვითარების ტენდენციებს, გამოწვევებს და ხარვეზებს, გადაწყვეტის ძირითად გზების ალტერნატივებს (საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის, შედარებითი სამართლის მეთოდოლოგიის, ევროკავშირის სამართლისა და პრეცედენტული სამართლის (case law) ცოდნისა და გამოყენების გზით), საჯარო სამართლებრივი და სამოსამართლეო მოხელის ეთიკის წესებს, კონსტიტუციური და საჯარო სამართლებრივი ნორმების ინტერპრეტაციის ხერხებსა და მეთოდებს, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოების გადაწყვეტილებების მნიშვნელობას სამართლის განვითარებისთვის.</li> </ul>
	<ul style="list-style-type: none"> <li>• აანალიზებს და იყენებს იურიდიული პრაქტიკისა თუ სამართალწარმოების ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაზე ორიენტირებულ უმნიშვნელოვანეს სამართლებრივ იდეებს,</li> </ul>



<p><b>უნარი</b></p>	<p>სახელმძღვანელო დებულებებს. ახდენს სამართლებრივი ღირებულებების პოზიციიდან ფაქტების კვალიფიკაციას, მათ ინტერპრეტაციას და სამართლებრივი შედეგების პროგნოზირებას.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• იდენტიფიცირებას უკეთებს კონსტიტუციური და, ზოგადად, საჯაროსამართლის მიმართულებით არსებულ კომპლექსურ პრობლემებს, მრავალმხრივ ანალიზებს კონკრეტულ ფაქტობრივ შემადგენლობებს, იძიებს რეგულირების ნორმატიულ საფუძვლებს, განმარტავს მათ, აფასებს (მათ შორის კონსტიტუციასთან შესაბამისობის თვალსაზრისით), ეძიებს გადაწყვეტის გზებს შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით და გამოაქვს დასაბუთებული დასკვნები;</li> <li>• ადგენს კონსტიტუციური წარდგინებების პროექტს და სხვა სამართლებრივ დოკუმენტებს, ნორმატიული მოწესრიგების ახალი ფორმულირებების ჩათვლით;</li> <li>• გეგმავს, ახორციელებს კვლევას მაღალი აკადემიური სტანდარტების დაცვით და წარადგენს საჯაროდ, იცავს საკუთარ მოსაზრებებს ეფექტიანად.</li> </ul>
<p><b>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ ავლენს დამოუკიდებლად ცოდნის გაღრმავებისა და კვლევის გზით მიღებული სამეცნიერო შედეგებით საჯარო სამართლის განვითარებაზე ზეგავლენის მოხდენის პოტენციალს;</li> <li>▪ ავლენს სამოსამართლეო ეთიკის სტანდარტებსა (როგორებიცაა ლეგიტიმური მოსამართლის ყოლის უფლება, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და შეუვალობა, წესიერება, სასამართლოს დამოუკიდებლობასა და გამოხატვის თავისუფლების ბალანსი, საზოგადოების ნდობის პრეზუმფცია და სხვ.) და ისწრაფვის მათი რეალიზაციისაკენ.</li> </ul>

**სისხლის სამართლის მოდულის დასრულების შემდეგ სტუდენტი:**

<p><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ აღწერს ეროვნული და უცხოური სამართლის სისტემის ქვეყნების სისხლის სამართლის პოლიტიკის მიღწევებს, სამოსამართლეო სამართლის ტენდენციებს, ამ სფეროში (საპროცესო და მატერიალურსამართლებრივი) ნორმათა ცვლილების საფუძვლებსა და მიზეზებს, ასევე ამ დინამიკის ზეგავლენას საზოგადოებრივ ურთიერთობებზე ისევე, როგორც შიდა ეროვნული სამართლის</li> </ul>
-------------------------------------	--

	სისტემური თავისებურებების პრობლემატიკას შედარებითსამართლებრივ ჭრილში.
<b>უნარი</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ იდენტიფიცირებას უკეთებს და აანალიზებს სისხლის სამართლის სფეროში არსებულ თანამედროვე პრაქტიკულ და თეორიულ-დოგმატურ პრობლემებს, მათ ეტიმოლოგიას, დარგში არსებული კვლევის, მათ შორის უპირატესად, შედარებითსამართლებრივი მეთოდის გამოყენებით;</li> <li>▪ ახორციელებს სისხლის სამართლის აქტუალური პრობლემატიკის კვლევას და მის შედეგებს წარადგენს პროფესიული თუ სხვა დაინტერესებული საზოგადოების წინაშე, ინიცირებას უკეთებს დებატებს, მონაწილეობს მათში და ეფექტიანად იცავს საკუთარ პოზიციებს.</li> <li>▪ პრაქტიკულ პროფესიული საქმიანობისას (იმიტირებულ ან მასთან მიახლოებულ გარემოში) წყვეტს რთულ და კომპლექსურ პრობლემებს ნორმატიული მოწესრიგების, დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის სინთეზის მეშვეობით, ამ პროცესში მოქმედებს პროფესიული ეთიკის სტანდარტების დაცვით.</li> </ul>
<b>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ აკადემიური სტანდარტების სრული დაცვით ჩატარებული სამეცნიერო კვლევის მეშვეობით საკუთარი წვლილი შეაქვს სისხლის სამართლის სფეროს განვითარებაში;</li> <li>▪ ამჟღავნებს პროფესიულ პასუხისმგებლობას მხარეთა და საჯარო ინტერესების სამართლიანად დაბალანსების პროცესში იმიტირებულ ან მასთან მიახლოებულ გარემოში, ფუნდამენტური სამართლებრივი ღირებულებების სრული შეცნობით.</li> </ul>

### სწავლება - სწავლის მეთოდები

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას.

სწავლა-სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება ისეთი მეთოდები როგორცაა: ლექცია, პრაქტიკული მუშაობა (სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, პრაქტიკა), ელექტრონული სწავლება (ელექტრონული რესურსით სწავლება). სწავლება-სწავლის მეთოდები თავის მხრივ მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს: ვერბალური ახსნა-განმარტებას, წიგნზე მუშაობას, წერით



მუშაობას, დემონსტრირებას, შემთხვევის ანალიზს (Case study), პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას (PBL), გონებრივ იერიშს (Brain storming), ქმედებაზე ორიენტირებულ სწავლებას (IBD), როლურ და სიტუაციურ თამაშებს, თანამშრომლობით (cooperative) სწავლებას, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზს, ევრისტიკულ მეთოდს, დისკუსია/ დებატებს, პრეზენტაციას, გუნდური მუშაობა, ანალიზს, პრაქტიკულ მეთოდებს, დამოუკიდებელ სწავლას. კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლის პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე მეთოდების კომბინირება. სწავლება-სწავლის მეთოდების შერჩევა-გამოყენება მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე. სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

### სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 25 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50%. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კურსის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;



(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კომპონენტში (FX) შეფასების მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით, სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება (F) – 0 ქულა.

სამაგისტრო პროგრამის კვლევითი კომპონენტი, სამაგისტრო ნაშრომი, უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სრუდენტი დაასრულებს მასზე მუშობას. სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია სასწავლო კურსების/კომპონენტების სილაბუსებში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

**საკონტაქტო პირი:**

**ნინო გაგუა**

სამართლის სკოლის დეკანი, ასისტენტ პროფესორი

ტელ.: (+995) 599 100 259

ელ-ფოსტა: [gaguanino13@gmail.com](mailto:gaguanino13@gmail.com)

## ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლა

### სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ბიზნესის ადმინისტრირება (Business Administration)

*უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:* მაგისტრატურა (II საფეხური)

*სწავლების ენა:* ქართული

*მიმართულება:* ბიზნესის ადმინისტრირება

*მისანიჭებელი კვალიფიკაცია:* ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი  
Master of Business Administration

*სწავლის ხანგრძლივობა:* 4 სემესტრი

*სამაგისტრო პროგრამის მოცულობა:* 120 კრედიტი

*პროგრამის ხელმძღვანელები:* ვ. ანთია, პროფესორი  
თ. დოლიაშვილი, პროფესორი

**სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა:** სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო გამოცდების და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდების (სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2 დონე) შედეგების საფუძველზე, გარდა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა. კონკურსის გათვალისწინებით ინგლისური ენის გამოცდიდან თუ წარმოადგენს შესაბამის სერთიფიკატს, რომელიც დაადასტურებს ენის ცოდნას B2 დონეზე.

ინფორმაციის საჭიროებისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები, წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა და სკოლის საბჭოს მიერ დამტკიცებული საგამოცდო საკითხები განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.



## სამაგისტრო პროგრამის მოცულობა კრედიტებით

პროგრამის ხანგრძლივობა არის 2 აკადემიური წელი, ანუ 4 სემესტრი. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს (1 კრედიტი = 25 საათი; 120 კრედიტი = 3000 სთ.).

სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში მაგისტრანტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარება), პრაქტიკას, სამაგისტრო ნაშრომს სპეციალობაში (მომზადება და დაცვა).

## პროგრამის მიზანი

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, რომელსაც ექნება: ღრმა და სისტემური ცოდნა მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსებისა და აღრიცხვის სფეროში; ბიზნეს-გარემოს ანალიზის, რისკების შეფასების, სწორი მარკეტინგული, მენეჯერული გადაწყვეტილებების მიღების, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, დარგობრივი კომპეტენციების განახლებისათვის აუცილებელი საჭიროებების დაგეგმვის უნარები; სტუდენტს ჩამოუყალიბდება ბიზნესის ეთიკის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ეროვნული ნორმებისა და ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვის მოტივაცია, პროფესიული და პიროვნული პასუხისმგებლობა. კურსდამთავრებული მიღებული ცოდნით, გამომუშავებული უნარებითა და პასუხისმგებლობით მზად იქნება იმ ცვლილებებისათვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მომავალი საქმიანობა.

მიზნები შესაბამისია უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და სტრატეგიული გეგმის, საჯარო, ხელმისაწვდომი და გაზიარებულია პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული მხარეების მიერ.

## პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარების და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ჩამოყალიბება ხდება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სინთეზის საფუძველზე, რომლებიც მიმართულია სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაზე. სამაგისტრო პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრული და ლოგიკურად დალაგებული და უზრუნველყოფს ცოდნის თანმიმდევრულ აკუმულირებას და მის გრადაციას მარტივიდან რთულისკენ.



”ბიზნესის ადმინისტრირების” სამაგისტრო პროგრამა

120 კრედიტი, მათ შორის:

სასწავლო კომპონენტი:

90 კრედიტი

• *სავალდებულო სასწავლო კურსები:*

65 კრედიტი

• *პრაქტიკა:*

10 კრედიტი

• არჩევითი სასწავლო კურსები/თავისუფალი კომპონენტი:

15 კრედიტი

კვლევითი კომპონენტი:

30 კრედიტი

• *სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა:*

30 კრედიტი

### სწავლება-სწავლის მეთოდები

სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით, რომლებიც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მქონე სპეციალისტის მომზადებას.

სწავლების პროცესში გამოიყენება სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდები: ინტერაქტიური ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევის შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსია/დებატებს, გონებრივ იერიშს (Brain storming), წერით მუშაობას, პრაქტიკულ მუშაობას, დემონსტრირებას, პრობლემასა და კვლევაზე დაფუძნებულ სწავლებას და სხვ.

კომპონენტის სპეციფიკიდან გამომდინარე, სწავლების პროცესში გამოიყენება როგორც კონკრეტული მეთოდები, ისე მეთოდების კომბინირება. რის შედეგადაც სწავლების პროცესი ხდება უფრო მრავალფეროვანი, ხოლო მაგისტრის საქმიანობა - უფრო აქტიური. სწავლება - სწავლის მეთოდების შერჩევა-გამოყენება მიმართულია სასწავლო პროცესში სტუდენტთა აქტიური მონაწილეობის სტიმულირებაზე, სტუდენტთა ინტერესებისა და მოთხოვნილებების მაქსიმალურად გათვალისწინებაზე, სტუდენტის მიერ არა მხოლოდ მზა ცოდნის მიღებაზე, არამედ უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევაზე.

## სწავლის შედეგები

<p style="text-align: center;"><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p>1. განსაზღვრავს ბიზნესის სუბიექტების ინტერესების და საქმიანი ორგანიზაციების ფუნქციონირების მულტიკულტურულ თავისებურებებს მენეჯმენტის, მარკეტინგის, ლოგისტიკის, ფულად-საკრედიტო ურთიერთობების, აღრიცხვა-ანალიზის პროცესის კროსდისციპლინალური მეთოდებით შესწავლის საფუძველზე.</p>
<p style="text-align: center;"><b>უნარები</b></p>	<p>2. არჩევს მარკეტინგის მენეჯმენტის თანამედროვე მიდგომებს და რეგიონულ ბაზრებზე შეღწევა-დამკვიდრების სტრატეგიებს;</p> <p>3. იყენებს ლიდერის ეფექტური ქცევის უნარებსა და გადაწყვეტილებების მიღების სპეციფიკურ მეთოდებს სხვადასხვა ბიზნეს-პროექტების მართვაში და იღებს გადაწყვეტილებებს განუსაზღვრელობის, არასრულყოფილი ინფორმაციისა და საბაზრო რისკების პირობებში.</p> <p>4. აფასებს სავალუტო, საფინანსო-საკრედიტო და საინვესტიციო რისკებს გლობალურ ბიზნესგარემოში სწორი ფინანსური გადაწყვეტილებების მისაღებად;</p> <p>5. აფასებს გადახდისუნარიანობას და ფინანსურ მდგრადობას ფირმის ფარული რეზერვების გამოსავლენად მისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის;</p> <p>6. კრიტიკულად აანალიზებს ბიზნეს გარემოში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებულ რთულ ან არასრულ ინფორმაციას და ამ ინფორმაციის სინთეზის საფუძველზე აკეთებს არგუმენტირებულ დასკვნებს;</p> <p>7. ასაბუთებს არგუმენტირებულ დასკვნებს აკადემიური პატიოსნების სტანდარტების დაცვით და საინფორმაციო ტექნოლოგიებით ახდენს კომუნიკაციას აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე.</p>
<p style="text-align: center;"><b>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა</b></p>	<p>8. გეგმავს დამოუკიდებლად ცოდნის, დარგობრივი კომპეტენციებისა და კვლევის მეთოდების მუდმივი განახლება-სრულყოფისათვის აუცილებელ საჭიროებებს;</p> <p>9. იცავს ბიზნესის ეთიკის, კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის საერთაშორისო ნორმებს და შეაქვს წვლილი ამ ღირებულებების ქართულ სინამდვილეში დამკვიდრებაში.</p>



## მაგისტრანტის ცოდნის შეფასების სისტემა

**მაგისტრანტთა მიღწევათა/ცოდნის შეფასება სამაგისტრო პროგრამის კომპონენტების მიხედვით:**

სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 %. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.

შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისთვის.

**პრაქტიკა:** აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელისა და მენტორის დახასიათების გათვალისწინებით მაგისტრანტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით კანონმდებლობით დადგენილი მაგისტრანტთა/სტუდენტთა მიღწევათა შეფასების სისტემის შესაბამისად. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტანია. შეფასებას ექვემდებარება უშუალოდ პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ (მინ. 21 ქულა- მაქს. 60 ქულა) და დაცვის კომისიის მიერ (მინ. 20 ქულა-მაქს. 40 ქულა). პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ პრაქტიკის ანგარიშის შეფასების და კომისიის მიერ პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.

**კვლევითი კომპონენტი-სამაგისტრო ნაშრომი:** სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას მაქს. 100 ქულით. შეფასების წესი და პირობები მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის დებულებაში და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.



## მაგისტრანტთა მიღწევათა/ცოდნის შეფასების სისტემა

- შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
  - (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
  - (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
  - (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
  - (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
  - (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.
- ორი სახის უარყოფით შეფასებას:
  - (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
  - (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ნიშანი F (ჩაიჭრა) მიღების შემთხვევაში სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს და ჩააბარებს გამოცდას. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო ნაშრომის მიმართ.
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში FX-ის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო F-ის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას.

საკონტაქტო პირი: ქეთევან ნანობაშვილი

ბიზნესისა და ტექნოლოგიების სკოლის დეკანი, პროფესორი

ტელ.: (+995) 599 54 67 05

ელ-ფოსტა: qeti.nanobashvili@sdasu.edu.ge

# სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლა

## ჟურნალისტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური: მაგისტრატურა (II საფეხური)

სწავლების ენა: ქართული

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი: აკადემიური

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ჟურნალისტიკის მაგისტრი

MA in Journalism

სწავლის ხანგრძლივობა: 4 სემესტრი

სამაგისტრო პროგრამის მოცულობა: 120 ECTS კრედიტი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, საერთო სამაგისტრო გამოცდები და საუნივერსიტეტო გამოცდები

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მაკა დოლიძე

სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება: სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო/საერთაშორისო გამოცდების, შიდა/გარე მობილობის საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სდასუ-ში სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა და ინგლისურ ენაში (B2).

## სამაგისტრო პროგრამის მიზანი

სამაგისტრო პროგრამის მიზანია მომზადდეს საგანმანათლებლო სივრცეში და შიდა და საერთაშორისო შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ჟურნალისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე მოქალაქე, რომელსაც ექნება ჟურნალისტიკის განვითარების ტენდენციების, მეთოდების, უთიერთობებისა და პრინციპების ღრმა და სისტემური ცოდნა; პროფესიონალური და პიროვნული პასუხისმგებლობა; ვალდებულებების შესრულების, ეთიკური ნორმების დაცვისა და ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის მოტივაცია; შეძლებს: ჟურნალისტური საქმიანობის სპეციფიკის და არსებული გამოწვევების გათვალისწინებას, ჰუმანიტარულ მეცნირებათა მიმართულებით კვლევას და საქმიანობის რაციონალურად წარმართვას, კვლევის სტრატეგიების განსაზღვრას და განხორციელებას, თანამედროვე მეთოდების გამოყენებით, სწორი გადაწყვეტილების მიღებას და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბებას, აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენაზე თავისი არგუმენტების და მოსაზრებების შესახებ საუბარს, ურთიერთობების დამყარებას, მოწინავე გამოცდილების და ინოვაციების გაზიარებას, უახლესი მონაცემების და ინფორმაციის მიღებას და საინფორმაციო-საკომუნიკაციო-ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებას, ცოდნის და კომპეტენციების სრულყოფის მიზნით სწავლის დამოუკიდებლად წარმართვას და სტრატეგიულად დაგეგმვას, რაც მის კრიატულობაში გამოვლინდება. ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოკიდებულების შეფასებას და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანას, რაც ჩვენი საზოგადოების განვითარებას და მის დემოკრატიულ პროცესებთან მაქსიმალურ დაახლოებას შეუწყობს ხელს.

## სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ჟურნალისტიკის სფეროში მაგისტრის საქმიანობისთვის საჭირო ცოდნის, უნარების და კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე და მიეკუთვნება საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკულ ტიპს, აქვს პრაქტიკული პროფილი. წინამდებარე პროგრამაში ხდება სავალდებულო და თავისუფალი კომპონენტების კომბინირება და ჟურნალისტიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარების, კომპეტენციების ფორმირება სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებული სხვადასხვა თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის სინთეზის საფუძველზე. „ჟურნალისტიკის“ სამაგისტრო პროგრამის პროფილის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული მაგისტრის კომპეტენციებისა ჟურნალისტიკის მაგისტრისადმი დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით, მაგისტრის მომზადება მიმდინარეობს ძირითადი ცოდნის (სავალდებულო) და დამატებითი ცოდნის (არჩევითი) კომპონენტების მეშვეობით. ძირითადი ცოდნის საკითხებს მოიცავს ჟურნალისტიკის მაგისტრის პრაქტიკული და კვლევითი საქმიან-



ნობისათვის აუცილებელი ცოდნისა და კომპეტენციების გამომუშავების სფეროსთან დაკავშირებული სავალდებულო კომპონენტები: სასწავლო კურსები, პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომი. დამატებითი ცოდნის საკითხებს მოიცავს მაგისტრის პრაქტიკული საქმიანობის ხელშემწყობი სამაგისტრო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები, რომლებიც მიეკუთვნება თავისუფალ კომპონენტებს. თავისუფალ კომპონენტებში, გარდა სამაგისტრო პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსებისა, მოიაზრება ე.წ. თავისუფალი სასწავლო კურსები/კრედიტები, რომელთა არჩევა მაგისტრანტს შეუძლია ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამის კურიკულუმიდან. აქედან გამომდინარე, თავისუფალი კომპონენტების არჩევით (კონცენტრაციით) მაგისტრანტს თვითონაც შეუძლია ინდივიდუალური პროფილის ფორმირება. სამაგისტრო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევასა და სწავლის შედეგად მაგისტრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა და ევოლუცია განსაზღვრავენ სამაგისტრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და სასწავლო გეგმას.

- სასწავლო პროგრამის მოცულობა - 120 ECTS (წელიწადში - 60 ECTS), მათ შორის: 100 ECTS სპეციალობის სავალდებულო დისციპლინებია, 20 ECTS – არჩევითი დისციპლინები, სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS, პროფესიული პრაქტიკა - 10 ECTS.
- სემესტრის განმავლობაში მაგისტრმა მიზანშეწონილია დაძლიოს 30-კრედიტიანი პროგრამა.
- ერთი სასწავლო წელი მოიცავს ორ (2) სემესტრს, ხოლო ერთი სემესტრი მოიცავს ოც (20) კვირას, აქედან: თხუთმეტი (15) კვირა – სალექციო – სააუდიტორიო მუშაობისათვის, ხუთი (5) კვირა – დასკვნითი გამოცდებისათვის (როგორც ძირითადი, ისე დამატებითი). დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობაა სემესტრის განმავლობაში მინიმუმ ოცდაერთი (21) ქულის მოპოვება, ხოლო დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება მინიმუმ ორმოცდაერთი (41) ქულის დაგროვების შემთხვევაში. გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება, თუ სტუდენტი მოიპოვებს დასკვნითი გამოცდისათვის დადგენის ქულათა მაქსიმალური რაოდენობის ორმოცდაათ (50) %-ს, ხოლო შესაბამის დისციპლინაში კრედიტის მოპოვება შესაძლებელია, თუ სტუდენტი მოცემულ დისციპლინაში ჯამში დააგროვებს მინიმუმ ორმოცდათერთმეტ (51) ქულას.
- ერთი კრედიტი მოიცავს ოცდახუთ (25) საათს.
- სპეციალობის სავალდებულო და არჩევითი დისციპლინები 5 – 10 კრედიტიანია და ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს, რომელთა თანაფარდობა ამა თუ იმ დისციპლინის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიძლება იყოს განსხვავებული.

## სწავლის შედეგები

<p style="text-align: center;"><b>ცოდნა და გაცნობიერება</b></p>	<p><i>მაგისტრს შეუძლია:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ღრმად და სისტემურად გააცნობიეროს ჟურნალისტიკის თეორია და პრაქტიკა;</li> <li>• მასობრივი კომუნიკაციის შესახებ ფაქტების და მიმდინარე პროცესების დახასიათება;</li> <li>• ჟურნალისტიკის სპეციფიკის ცოდნის კონკრეტულ სიტუაციებთან მისადაგება;</li> <li>• სოციალური მეცნიერებებთან დაკავშირებული საკითხების სიღრმისეული და სისტემური ცოდნის დემონსტრირება;</li> <li>• მედიის სფეროს სოციალური და ეთიკური თავისებურებების გაცნობიერება;</li> <li>• ჟურნალისტური მეთოდების ჩამოთვლა და განმარტება;</li> <li>• სფეროსთვის დამახასიათებელი სპეციფიური მეთოდებისა და საკითხების სიღრმისეული ცოდნის დემონსტრირება;</li> <li>• დარგის მიმართულებით ახალი, ორიგინალური იდეების შემუშავება და გამოყოფილი პრობლემების გადაჭრის გზების დასახვა.</li> </ul>
<p style="text-align: center;"><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<p><i>მაგისტრს შეუძლია:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სოციალური მეცნიერებების მიმართულებით კვლევა უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;</li> <li>• ჟურნალისტიკის სფეროში არსებული სიახლეების ადეკვატური მიღება და ახალ, გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინურ გარემოში მოქმედება;</li> <li>• შედეგებზე ორიენტირებული სამოქმედო გეგმის დამოუკიდებლად შემუშავება, რაც წაადგება სწავლება-სწავლის პროცესში ეფექტური საქმიანობისათვის;</li> <li>• ჟურნალისტური პროცესების იდენტიფიცირება, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გათვალისწინებით ინფორმაციის მოპოვების, დამუშავებისა და მისი გავრცელების მიზნით; დამოუკიდებლად კვლევითი პროექტების განხორციელება, შედეგების დასაბუთება, რეკომენდაციების შემუშავება, წარდგენა და შემდგომი განხორციელება;</li> </ul>
<p style="text-align: center;"><b>დასკვნის უნარი</b></p>	<p><i>მაგისტრს შეუძლია:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სოციალური მეცნიერებების სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების, რთული და არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი;</li> <li>• ინფორმაციის კრიტიკული ანალიზი და დასაბუთებული დასკვნის</li> </ul>



	<p>ჩამოყალიბება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• არსებული პრობლემების კრიტიკულად გაანალიზების შემდეგ არგუმენტირებული დასკვნების ჩამოყალიბება;</li> <li>• სოციალური მეცნიერებების მიმართულებისთვის დამახასიათებელი პრობლემების შესწავლის საფუძველზე ძირითადი პრობლემების გამოცალკევება, მათი გამომწვევი მიზეზების დადგენა და შეფასება, მიღებული ინფორმაციისა და მონაცემების კრიტიკული ანალიზი, არგუმენტირებული დასკვნის გამოტანა და კომპლექსური პრობლემების გადაჭრის ახალი ორიგინალური გზების ძიება და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით შესაბამისი ღონისძიებების შემუშავება და განხორციელება;</li> <li>• ინფორმაციის ანალიზი უახლესი კვლევების, თანამედროვე გამოცდილების და მოწინავე თეორიული კონცეფციებისა და მიდგომების გამოყენებით ინდივიდუალური კრიატულობის გათვალისწინებით;</li> <li>• მედიის კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი, არსებული პრობლემების ადეკვატურად განსაზღვრა, დასაბუთება, რაც პრობლემის გადაწყვეტის ორიგინალური გზების ძიებაში გამოიხატება.</li> </ul>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<p><i>მაგისტრს შეუძლია:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• საკუთარი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების შესახებ კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე; აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;</li> <li>• ურთიერთობების დამყარება, საქმიანი მოლაპარაკებების წარმართვა, კომუნიკაცია საზოგადოებასთან, კომუნიკაციის მიზნით სხვადასხვა საშუალებების, მათ შორის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, გამოყენება;</li> <li>• სამუშაო ჯგუფის წევრებთან კომუნიკაცია - სამუშაოს მიზნების და ამოცანების გამოკვეთა, მოსალოდნელი შედეგების აღწერა, ტრეინინგები, შესრულებული სამუშაოს შეფასება, სამუშაო კონფლიქტების მართვა, სათანადო ღონისძიებების მომზადება და კონფლიქტური სიტუაციების მოგვარება კომუნიკაციის გზით;</li> <li>• ქართულ და ინგლისურ ენებზე, სოციალურ მეცნიერებებთან დაკავშირებული საქმიანი მიმოწერა, დოკუმენტაციის შედგენა და მედიაორგანიზაციის სტრუქტურულ, ორგანიზაციულ, სტრატეგიულ, ტაქტიკურ და სხვ. საკითხებთან დაკავშირებული პრეზენტაციის ან/და კვლევითი პროექტის დამოუკიდებლად მომზადება საინფორმაციო-</li> </ul>



	საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გათვალისწინებით და დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა.
<b>სწავლის უნარი</b>	<p><i>მაგისტრს შეუძლია:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მედიასთან დაკავშირებული ინოვაციური მიდგომების და მოწინავე გამოცდილების გაზიარება, უახლესი მონაცემებისა და ინფორმაციის დამოუკიდებლად ათვისება;</li> <li>• სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერება და სტრატეგიულად დაგეგმვა;</li> <li>• დამოუკიდებლად ცოდნის და კომპეტენციებს სრულყოფა და მუდმივი განახლება, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა;</li> <li>• შემდგომი (დოქტორანტურაში) სწავლის საჭიროებების ობიექტურად განსაზღვრა.</li> </ul>
<b>ღირებულებები</b>	<p><i>მაგისტრს აქვს:</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროფესიონალური და პიროვნული პასუხისმგებლობა;</li> <li>• ეთიკური, მორალური, სოციალურ-ფსიქოლოგიური, სამართლებრივი, საზოგადოებრივი და კულტურათაშორისი ნორმების ცოდნა და მათი დაცვის პასუხისმგებლობა;</li> <li>• ღირებულებებისადმი თავისი და სხვების დამოუკიდებულების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანის მოტივაცია.</li> </ul>

### მაგისტრანტის ცოდნის შეფასების სისტემა

მაგისტრანტთა მიღწევათა/ცოდნის შეფასება სამაგისტრო პროგრამის კომპონენტების მიხედვით:

- სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხდება 100-ქულიანი (max 100 ქულა) სისტემით. სასწავლო კომპონენტის შეფასება მოიცავს ორ ფორმას - შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი კი, დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50 პროცენტია. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასების) გამოყენებით. სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასება (ქულა) წარმოადგენს შუალედური და დასკვნითი შეფასებების ფორმებში მიღებული ქულების ჯამს.
- შეფასების ფორმები, კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისთვის.

შენიშვნა: შუალედური შეფასების ქულა შეიძლება იყოს განსხვავებული სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სასწავლო კურსის განმახორციელებელი ლექტორის მოსაზრებიდან გამომდინარე, შეფასების მეთოდები, ფორმები, კრიტერიუმები და შესაბამისი ქულები მითითებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

**პრაქტიკა:** აღნიშნული სასწავლო კომპონენტის შეფასება ხდება პრაქტიკის ხელმძღვანელის და მენტორის დახასიათების გათვალისწინებით მაგისტრანტის მიერ მომზადებული და დაცვის მიზნით კომისიის წინაშე წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის საფუძველზე. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით კანონმდებლობით დადგენილი მაგისტრანტთა/სტუდენტთა მიღწევათა შეფასების სისტემის შესაბამისად. მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკის ანგარიშის შეფასება მრავალჯერადი და მრავალკომპონენტანია. შეფასებას ექვემდებარება უშუალოდ პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ (მინ. 21 ქულა; მაქს. 60 ქულა) და დაცვის კომისიის მიერ (მინ. 20 ქულა; მაქს. 40 ქულა). პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ პრაქტიკის ხელმძღვანელის/მენტორის მიერ პრაქტიკის ანგარიშის შეფასების და კომისიის მიერ პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები მოცემულია პრაქტიკის სილაბუსში და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.

**კვლევითი კომპონენტი-სამაგისტრო ნაშრომი:** სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) მაქს. 100 ქულა. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი და პირობები მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულებაში და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.

### მაგისტრანტთა მიღწევათა/ცოდნის შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში შემოღებულია სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა (%) უდრის 100;

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. ნიშანი F (ჩაიჭრა) მიღების შემთხვევაში სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს და ჩააბარებს გამოცდას. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება სამაგისტრო ნაშრომის მიმართ.
- მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის FX-ის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო F-ის მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

საკონტაქტო პირი: მათა ჭანია

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანი,  
ასოცირებული პროფესორი

ტელ.: (+995) 514 404 400

ელ-ფოსტა: [maiachania@gmail.com](mailto:maiachania@gmail.com)



სამაგისტრო პროგრამის დასახელება:  
„საერთაშორისო ურთიერთობები“



უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური:	მაგისტრატურა (II საფეხური)
სწავლების ენა:	ქართული
მიმართულება:	სოციალური მეცნიერებები
დარგი/სპეციალობა:	საერთაშორისო ურთიერთობები
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი Master of International Relations
სწავლის ხანგრძლივობა:	4 სემესტრი
სამაგისტრო პროგრამის მოცულობა:	120 კრედიტი
პროგრამის ხელმძღვანელი:	სოფო ჩქოფოია, ასოცირებული პროფესორი

**სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება:** სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საერთო სამაგისტრო/საერთაშორისო გამოცდების, შიდა/გარე მობილობის საფუძველზე ან საერთო სამაგისტრო გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სდასუ-ში სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობებია: შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები სპეციალობასა და უცხოურ ენაში (B2 დონე).

## პროგრამის მიზანი

„საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამის მიზანია მომზადდეს შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტი, რომელიც შეძლებს, საერთაშორისო კვლევების კონტექსტში თანამედროვე საერთაშორისო პრობლემათა შესწავლას და გააზრებას მოწინავე მეცნიერული მეთოდოლოგიის და ინტერდისციპლინალური მიდგომების გამოყენებით. სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიული დისციპლინებისა და პრაქტიკული საკითხების შესწავლაზე, ასევე თანამედროვე პრობლემატიკის ანალიზზე პოლიტიკისა და სოციალური მეცნიერებების თანამედროვე დღის წესრიგის გათვალისწინებით. პროგრამა ისეა აგებული, რომ მაქსიმალურად სრულყოფილი ცოდნა მისცეს სტუდენტს საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის მეთოდებში, საერთაშორისო პოლიტიკის თეორიულ მიდგომებსა და თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში, რათა ისინი მოამზადდოს, ერთი მხრივ, პრაქტიკული საქმიანობის, მეორე მხრივ კი, სადოქტორო პროგრამებზე სწავლის გაგრძელებისათვის. სამაგისტრო პროგრამა სტუდენტებს აწვდის და უვითარებს ფართო და ამავე დროს სპეციფიკურ ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობების ცალკეულ მიმართულებებში. პროგრამა სტუდენტებს საშუალებას აძლევს გაიფართოვონ თეორიული თვალსაწიერი, განავითარონ და დახვეწონ საერთაშორისო ურთიერთობების ანალიზისა და ინტერპრეტაციის უნარი, შეიძინონ დამოუკიდებელი კვლევითი ჩვევები. ყოველივე ზემოაღნიშნული განაპირობებს მზარდი კონკურენციის პირობებში სათანადო კომპეტენციებით აღჭურვილი საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის ჩამოყალიბებას, რომელსაც შეუძლია პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში საკუთარი კომპეტენციების და შესაძლებლობების სრული რეალიზაცია და კარიერული წინსვლა წარმატებული საქმიანობის შედეგად.

## პროგრამის სტრუქტურა

„საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტებისათვის მაგისტრის აკადემიური ხარისხისათვის საჭირო ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი კომპეტენციების ჩამოყალიბება ხდება პროგრამით გათვალისწინებული, სხვადასხვა კომპონენტების სინთეზის საფუძველზე. უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოში განსაზღვრული მაგისტრის კომპეტენციებისა და საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრისადმი დასაქმების ბაზრის მოთხოვნათა გათვალისწინებით. საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამა ისეა აგებული, რომ სტუდენტებს სრულ

წარმოდგენას უქმნის როგორც ზოგადად საერთაშორისო ურთიერთობების, ისე ამ დარგის ცალკეული სუბ-დისციპლინების შესახებ. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში მაგისტრი აღრმავებს ბაკალავრიატში მიღებულ თეორიულ ცოდნას და უყალიბდება ის პრაქტიკული უნარ-ჩვევები, რომელიც შემდგომში მას შრომით ბაზართან ადაპტაციის და პროფესიულ გარემოში, მათ შორის აკადემიურ სფეროში დამოუკიდებლად ორიენტაციის საშუალებას მისცემს. პროგრამის კომპონენტები მიმართულია დასახული მიზნების მიღწევასა და სწავლის შედეგად მაგისტრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა, მათი ევოლუცია განსაზღვრავს პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას და აისახება სასწავლო გეგმაში.

**„საერთაშორისო ურთიერთობების“ სამაგისტრო პროგრამა 120 კრედიტი, მათ შორის:**

<b>სავალდებულო კომპონენტები:</b>	<b>90 კრედიტი</b>
• სავალდებულო სასწავლო კურსები	50 კრედიტი
• პრაქტიკა	10 კრედიტი
• სამაგისტრო ნაშრომი	30 კრედიტი

**არჩევითი და/ან თავისუფალი კურსები: 30 კრედიტი**

**სწავლის შედეგები**

<b>ცოდნა და გაცნობიერება</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს ძირითადი თავისებურებებისა და ინსტიტუტების სიღრმისეული და სისტემური ცოდნა, აცნობიერებს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს მთავარ პრინციპებს, თეორიებსა და კონცეფციებს, მათ შორის ზოგიერთ გამორჩეულ და/ან ახალ ასპექტს;</li> <li>• აცნობიერებს თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის საკვანძო პრობლემებს;</li> <li>• სიღრმისეულად იცის და აცნობიერებს დიდი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის თავისებურებებს;</li> <li>• აცნობიერებს საქართველოს საგარეო პოლიტიკის თავისებურებებს;</li> <li>• აქვს კვლევის მეთოდოლოგიისა და მეთოდის სიღრმისეული, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ცოდნა;</li> <li>• აქვს სოციალური მეცნიერებების ეპისტემოლოგიის ადეკვატური ცოდნა;</li> <li>• აქვს პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების შესასწავლად ახალი და ინოვაციური მულტიდისციპლინალური მიდგომების სიღრმისეული ცოდნა;</li> </ul>
----------------------------------	--



	<ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს საერთაშორისო ინსტიტუტების საქმიანობის ძირითადი საკითხების ღრმა და სისტემური ცოდნა.</li> </ul>
<p><b>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში გადაწყვეტილების მიღების პროცესის დაგეგმვისა და განხორციელების უნარი, მათ შორის კრიზისულ ვითარებაში.</li> <li>• აქვს პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული ხედვა. პოლიტიკის ანალიზის განხორციელებისა და ქსელური ანალიზის უნარ-ჩვევები მას საშუალებას აძლევს გამოიყენოს ეს ცოდნა და უნარები როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო სექტორში მუშაობის პროცესში და საზოგადოებრივი პრობლემების ეფექტური გადაწყვეტის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს აღნიშნულ საქმეში.</li> <li>• შეუძლია საქმიანობა საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სტანდარტული, ასევე ზოგიერთი გამორჩეული/ახალი მეთოდისა და ეთიკური ნორმების გამოყენებით;</li> <li>• შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროსთან დაკავშირებული კვლევითი და/ან პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით;</li> <li>• აქვს პოლიტიკის თეორიულ-მეთოდოლოგიური ცოდნის გამოყენების უნარი, რათა ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, ხედვა პროფესიული, სოციალური და ეთიკური სტანდარტების გათვალისწინებით;</li> <li>• შეუძლია თავისი დასკვნების საჯარო წარდგენა, მათი მკაფიო არგუმენტაცია შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, როგორც პროფესიონალებთან, ისე არაპროფესიონალებთან.</li> </ul>
<p><b>დასკვნის უნარი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით შეუძლია ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი და მათ საფუძველზე რეკომენდაციების შემოთავაზება;</li> <li>• აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების, აგრეთვე არგუმენტირებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;</li> <li>• აქვს პოლიტიკურ მეცნიერებებში არსებული თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით მონაცემების შეგროვების, ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;</li> <li>• ფუნდამენტური და ემპირიული კვლევის პროცესში შეუძლია ჰიპოთეზის დასაბუთება ან უარყოფა;</li> <li>• აქვს კვლევის შედეგად მიღებული დასკვნების არგუმენტირებული</li> </ul>

	<p>დასაბუთების უნარი.</p>
<p><b>კომუნიკაციის უნარი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადების და ქართულ და ინგლისურ ენებზე ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემის უნარი;</li> <li>• თავისი დასკვნების, არგუმენტებისა და კვლევის მეთოდების შესახებ კომუნიკაცია აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და ინგლისურ ენებზე;</li> <li>• შეუძლია ქართულ და ინგლისურ ენებზე საქმიანი მიმოწერა, დოკუმენტაციის შედგენა და ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებული პრეზენტაციის ან/და კვლევითი პროექტის დამოუკიდებლად მომზადება საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გათვალისწინებით და დაინტერესებული პირებისთვის გაცნობა;</li> <li>• აქვს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი;</li> <li>• შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში აქტუალურ თემებზე წერილებისა და სამეცნიერო ხასიათის სტატიების წერა;</li> <li>• აქვს ჯგუფში მუშაობისათვის აუცილებელი კომუნიკაციის უნარი.</li> </ul>
<p><b>სწავლის უნარი</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• აქვს საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასებისა და შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრის უნარი;</li> <li>• ადეკვატურად აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს და ესმის, როგორ გააუმჯობესოს მიღებული შედეგი;</li> <li>• აქვს უნარი მომავალში დამოუკიდებლად ან მინიმალური ხელმძღვანელობის ქვეშ განახორციელოს კვლევითი პროცესი;</li> <li>• ფლობს კვლევითი პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელ ადეკვატურ ინდივიდუალურ რესურსსა და კომპეტენციას და აქვს მათი გაუმჯობესების უნარი;</li> <li>• აქვს სფეროში გამოქვეყნებული უახლესი ლიტერატურის ათვისების, სწავლისა და კვლევის პროცესში მისი მუდმივი გამოყენებისთვის მზაობა.</li> </ul>
<p><b>ღირებულებები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>• მოწოდებულია ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით;</li> <li>• შეუძლია ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა;</li> <li>• აქვს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს პრაქტიკული</li> </ul>



გაუმჯობესების ღირებულებითი აღქმა და შეუძლია ჩაერთოს დემოკრატიული მართვის განხორციელებასა და სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის პროცესში პრაქტიკული თუ კვლევითი საქმიანობის საფუძველზე.
---

### მაგისტრანტთა მიღწევების/ცოდნის შეფასების სისტემა

მაგისტრანტთა მიღწევების/ცოდნის შეფასება სამაგისტრო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების მიხედვით:

#### *სასწავლო კურსები:*

სასწავლო კურსების შესწავლისას მაგისტრანტის გაწეული შრომის შემაჯამებელი შეფასება ითვალისწინებს ორ ძირითად შემადგენელ ელემენტს - შუალედურ შეფასებას და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. თითოეულ ელემენტს აქვს თავისი პროცენტული წილი/ხვედრითი წონა შეფასების საერთო სისტემაში:

- სასწავლო კურსის შუალედური შეფასება დაყოფილია კომპონენტებად (ზეპირი/წერიტი გამოცდა, ზეპირი/წერიტი გამოკითხვა, პრაქტიკულ/თეორიული სამუშაო და სხვ.), რომელიც შეიძლება აერთიანებდეს შემდეგ მეთოდებს: ტესტი, ესე/ესე, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალებების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და სხვ.

- შუალედური გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა;
- დასკვნითი გამოცდა ფასდება მაქსიმალური 40 ქულით; დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს ზეპირი ან წერილობითი ფორმით. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა მაგისტრანტს, რომელსაც შუალედური შეფასებებით დაუგროვდა არანაკლებ 21 ქულა. დასკვნითი გამოცდის ჩაბარება სავალდებულოა. დასკვნითი გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ მაგისტრანტი დააგროვებს ამ კომპონენტისათვის გათვალისწინებულ მაქსიმალურ ქულათა 50 %-ს;

- შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის შეფასების ჯამს;

- შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში;

- ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.

## შეფასების სისტემა სასწავლო კომპონენტისათვის

უნივერსიტეტში შემოღებულია მაგისტრანტთა/სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა (%) უდრის 100-ს;

შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

FX (ვერ ჩააბარა) და F (ჩაიჭრა).

**ნიშანი FX (ვერ ჩააბარა)** ნიშნავს, რომ მაგისტრანტს გამოცდის ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. მაგისტრანტს აქვს იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება იმის გათვალისწინებით, რომ დასკვნით და დამატებით გამოცდებს შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.

**ნიშანი F (ჩაიჭრა)** მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს და ჩააბარებს გამოცდას. დამატებით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს ეძლევა გამოცდის კიდევ ერთხელ გადაბარების საშუალება, მაგრამ არაუადრეს ერთი სემესტრისა.

### პრაქტიკა:

პრაქტიკის შეფასება ხდება 100-ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. მაქსიმალური დადებითი შეფასება შეადგენს 100 ქულას, დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 51 ქულა. პრაქტიკა ფასდება შემდეგი კომპონენტებით:

- I. შუალედური შეფასება - პრაქტიკის ანგარიში წერილობითი ნაშრომის სახით – მინ. 21 ქულა- მაქს. 60 ქულა;
- II. დასკვნითი შეფასება - ზეპირი პრეზენტაცია - პრაქტიკის ანგარიშის დაცვა – მინ. 20 ქულა- მაქს. 40 ქულა.

I. პრაქტიკის ანგარიშის შუალედური შეფასება მრავალკომპონენტანია და ითვალისწინებს:

### შესავალი - 10 (მაქს. ქულა)

- გადმოცემულია პრაქტიკის მიზნები;
- დაწესებულების აღწერა - ქმნის მკაფიო წარმოდგენას დაწესებულებაზე, მის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაზე, საქმიანობის სფეროზე და პროფილზე, ძირითად მომხმარებლებზე, დაწესებულების მართვის სტრუქტურაზე.



### **ძირითადი ნაწილი - 20 (მაქს. ქულა)**

- პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის აღწერა-ანალიზი;
- პრაქტიკის დროს შესრულებული სამუშაოს და შესწავლილი საკითხების შესაბამისობა პრაქტიკის მიზნებთან;
- შესაბამისი მაგალითების მოყვანით მიღწეული შედეგების აღწერა (ცოდნის შექმნა, განვითარებული კონკრეტული კომპეტენციების და უნარების ჩამოთვლა და აღწერა, წარმატებული პრაქტიკული საქმიანობისთვის მათი მნიშვნელობის ადეკვატური შეფასება და ა.შ.);
- სტუდენტის მიერ დანახული პრობლემები და ამ პრობლემების შეფასება, თეორიაზე დაყრდნობით შეძლებისდაგვარად გადაწყვეტის გზების ჩვენება;
- პრაქტიკის მნიშვნელობა სტუდენტის მომავალი საქმიანობისთვის.

### **დასკვნები - 20 (მაქს. ქულა)**

- მოიცავს პრაქტიკიდან მიღებულ ძირითად დასკვნებს;
- დასკვნები არგუმენტირებული და ლოგიკურია;
- სტუდენტის პოზიცია შეჯამებულია, ჩანს სამომავლო გეგმები და ხედვა.

### **დანართი (გრაფიკები, ცხრილები, სურათები, სლაიდები და ა.შ.) - 10 (მაქს. ქულა)**

- რელევანტურია და შეესაბამება პრაქტიკის ანგარიშის შინაარსს, ხელს უწყობს ანგარიშში აღწერილი ფაქტების დასაბუთებასა და ილუსტრირებას.

### **II. პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია დასკვნითი შეფასება ითვალისწინებს ორ კომპონენტს:**

#### **შინაარსობრივი მხარე - 20 (მაქს. ქულა)**

- პრაქტიკის ანგარიშის, პრაქტიკის შედეგების პრეზენტაცია;
- არგუმენტებისა და ფაქტების მოშველიება;
- ძირითადი საკვანძო საკითხების შერჩევა;
- პრაქტიკასთან მიმართებაში თეორიული ცოდნის დემონსტრირება.

#### **პრეზენტაციის ტექნოლოგია -20 (მაქს. ქულა)**

- რეგლამენტის დაცვა;
- კონტაქტი აუდიტორიასთან;
- სლაიდ შოუ და ვიზუალური მასალა;
- შეკითხვებზე დამაჯერებლად, არგუმენტირებულად პასუხი;
- აკადემიური მეტყველება;
- პროფესიული ენით საუბარი.

**კვლევითი კომპონენტი-სამაგისტრო ნაშრომი:** სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით) მაქს. 100 ქულა. სამაგისტრო ნაშრომის შეფასების წესი

და პირობები მოცემულია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების და დაცვის დებულებაში და ხელმისაწვდომია მაგისტრანტებისათვის.

### შეფასების სისტემა კვლევითი კომპონენტისათვის

სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

( A ) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

( B ) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

( C ) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

( D ) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

( E ) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) - მაგისტრანტი წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს და ენიჭება მომდევნო წელს გადამუშავებული სამაგისტრო ნაშრომის წარდგენის უფლება - 41-50 ქულა;

(F) მაგისტრანტი წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს და კარგავს იგივე ნაშრომის წარდგენის უფლებას- 0- 40 ქულა.

საკონტაქტო პირი: მაია ჭანია

სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დეკანი,  
ასოცირებული პროფესორი

ტელ.: (+995) 514 404 400

ელ-ფოსტა: [maiachania@gmail.com](mailto:maiachania@gmail.com)